

ელისო ქორიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი

საქართველო

რამდენიმე მოსაზრება იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტსა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არსებულ საუნივერსიტეტო პარტნიორობის შესახებ

საუნივერსიტეტო სწავლება ძირითადად გულისხმობს ფუნდამენტური, აკადემიური განათლების მიღებას და შეძენილი ცოდნის გამოყენებას სასწავლო და სამეცნიერო მიზნებით. მაგრამ, ყველა უნივერსიტეტისათვის ნიშანდობლივია განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა, რომელიც მას სხვა უმაღლეს-საგანმანათლებლო კერისაგან განასხვავებს. რაც შეეხება ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მისი მთავარი მისია გამოიხატება იმით, რომ იგი: „ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებსა და „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებს, როგორც კავკასიის ერთ-ერთი უძველესი, მრავალპროფილური უმაღლესი აკადემიური დაწესებულება, საგანმანათლებლო, კვლევითი და ბიზნეს პროცესების ერთიანობისა და ხარისხის უზრუნველყოფით ისწრაფვის აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები, რომლებიც ცოდნის შექმნის, დაგროვებისა და გავრცელების გზით საკუთარ წვლილს შეიტანენ ქვეყნისა და მსოფლიოს განვითარებაში.“¹

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გერმანული ენისა და ლიტერატურის სწავლებას დიდი ტრადიცია გააჩნია, რომელიც მრავალმა ცნობილმა მეცნიერმა და პედაგოგმა შექმნა. აღნიშნული სპეციალობის პრიორიტეტად უნდა ჩაითვალოს ასევე ის გარემოებაც, რომ 2000 წლიდან, საქართველოში მოქმედი სამი დეაადეს(DAAD)ოფისიდან, ერთ-ერთი ჩვენს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ყველანაირი ინფორმაცია, რაც გერმანიაში სწავლას და კვალიფიკაციის ამაღლებას ეხება, ასევე ინფორმაციები უნივერსიტეტებზე, სასწავლო პროგრამებზე, კონსულტაციები ფორმულარების, განაცხადების, სამოტივაციო წერილების შედგენის თაობაზე. აქვე ტარდება ტესტირება ენობრივ დონეებზე საერთაშორისო სერთიფიკატის მოსაპოვებლად და ა.შ. დეაადეს დაფინანსებით მოეწყო ჩვენს უნივერსიტეტში დეაადეს კაბინეტი (DAAD Kabinett), რომელიც აღჭურვილია არა მარტო უახლესი გერმანული სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, არამედ თანამედროვე ტექნოლოგიების ტექნიკითაც.

საქართველოში საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე რეფორმების დაწყებისთანავე, გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა, ერთ-ერთი პირველი გადავიდა

¹უნივერსიტეტის მისია. <http://atsu.edu.ge/article.php?c=1&a=2> [13.02.2017]

საუნივერსიტეტო სწავლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა). ჩვენი სპეციალობის პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს საერთო ევროპული საგანმანათლებლო რეფერენციული ჩარჩოს მოთხოვნებს. 2005 წელს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა მიუერთდა ბოლონის პროცესს და ჩაერთო საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ რეფორმებში, რაც საკმაოდ რთული იყო, რადგან რეფორმა ითვალისწინებდა სასწავლო პროგრამების ახლებურად სტრუქტურირებას, საკრედიტო სისტემას, უახლესი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სწავლებაში ინტეგრირებას, ინოვაციური და აქტუალური მეთოდოლოგიის მომარჯვებას და ა.შ. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქუთაისში გერმანული ფილოლოგიის დარგი მზად აღმოჩნდა ამ გამოწვევებისათვის, რაც განაპირობა დიდმა ტრადიციამ და, იმ დროისათვის უკვე არსებულმა პარტნიორულმა ურთიერთობამ გერმანიის და ევროპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს – ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლსის უნივერსიტეტთან.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლსის უნივერსიტეტთან პარტნიორული ურთიერთობა დააფინანსა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურმა (DAAD) და გაგრძელდა გამონაკლისის წესით 10 წელი (პარტნიორული ურთიერთობები გრძელდება 7 წელი), რაც განპირობებული იყო პროექტის წარმატებით. ამ დროის მანძილზე, ყოველწლიურად, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით მიწვეული იყვნენ როგორც ლექტორ-მასწავლებლები, ასევე სტუდენტები. წელიწადში ორჯერ გერმანიიდან ჩამოდიოდნენ ლექტორ-მასწავლებლები, რომლებიც ატარებდნენ არა მარტო ლექცია-სემინარებს, არამედ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებსაც. მაგალითად, სტუდენტებთან ერთად თეატრალურ წარმოდგენებს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია გერმანული ენისა და კულტურის გაცნობისა და დაუფლების საქმეში.

აღნიშნული პარტნიორობის ფარგლებში და გერმანული მხარის დაფინანსებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სამი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლებშიც მონაწილეობდნენ, როგორც მეზობელი ქვეყნების, ასევე თვალსაჩინო ევროპული უნივერსიტეტების წარმომადგენლებიც:

- 2004 Internationales Kolloquium – West-östliche Begegnungen. Kontakte und Kontroversen der Kulturen im Spiegel von Geschichte und Literatur. Kutaissi. GIP.
- 2006 Internationales Kolloquium – Die Romantiker. Ästhetik, Geschichte und eine Epoche in Deutschland und Europa. Kutaissi. GIP.
- 2009 Internationale Konferenz – Sprache und Literatur im Spannungsfeld von Politik und Ästhetik. Konferenz aus Anlass des 80. Geburtstags von Christa Wolf. Kutaissi. GIP.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კონფერენციებში ნაკლებად დომინირებდა ლინგვისტიკა, ამ მხრივაც, გერმანული ფილოლოგიის გერმანული ენის მიმართულებამ შეძლო, რომ თავისი სიტყვა ეთქვა. ამის დასტურია პროფ. გერტრუდა რიოშის აზრი, რომელიც მან კონფერენციის სამეცნიერო შრომების კრებულის წინასიტყვაობაში წარმოადგინა:

„Zwei Aspekte machen den besonderen Reiz und den Wert dieses Sammelbandes aus: die Einbeziehung sprachwissenschaftlicher Beiträge und die Nachweise zur Rezeption in Georgien. Während an deutschen Universitäten die Literaturwissenschaft und die Linguistik häufig nur eine Zwangs- und Notgemeinschaft bilden, bietet die Germanistik im Ausland das erfreuliche Bild enger Zusammenarbeit. Natürlich ist die Romantik in erster Linie ein literaturwissenschaftliches Thema; aber einige linguistische Beiträge beweisen, dass die Sprachwissenschaft mit konkreten Untersuchungen zum besseren Verständnis einer Epoche und ihrer Texte auf eine Weise beitragen kann, die sich der Literaturwissenschaftler häufiger wünschen würde.“²

შესაბამისად, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტთან პარტნიორობამ ხელმისაწვდომი გახადა ჩვენთვის ის უახლესი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა, რაც აქტუალურია ჩვენი დარგისათვის. საუნივერსიტეტო პარტნიორობა ასევე ითვალისწინებს პარტნიორ უნივერსიტეტში შესაბამისი დარგის სასწავლო-სამეცნიერო ბაზის გაძლიერებას, რის საფუძველზეც ჩვენს უნივერსიტეტში, გარდა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკებისა, არსებობს ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილი წიგნადი ფონდები, განთავსებული შესაბამის კაბინეტებში. ესეც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბიბლიოთეკა არ ნიშნავს მხოლოდ წიგნებს, იგულისხმება კომპიუტერები, ქსეროქსები, ინტერნეტი, რაშიც გერმანულმა მხარემაც მიიღო მონაწილეობა.

მაგრამ, ასევე უნდა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პარტნიორული ურთიერთობის პროფილი განისაზღვრებოდა თვით ჩვენი სტრუქტურების სპეციფიკით. ჩვენი პარტნიორი იყო რუპრეხტ კარლსის უნივერსიტეტის **გერმანული როგორც უცხო ენის ინსტიტუტი (IDS)**, რომელიც უშუალოდ სწავლებაზეა ორიენტირებული, და თეორიული და კვლევითი ასპექტები ნაკლებად არის გათვალისწინებული. ასევე, როგორც იენის უნივერსიტეტის პროფესორ უდო ჰანის განაცხადშია აღნიშნული, ჩვენს საუნივერსიტეტო პარტნიორობაში დომინირებდა ლიტერატურათმცოდნეობითი და გერმანული ენის სწავლების მეთოდოლოგიური ასპექტები:

„GIP zwischen RKU-Heidelberg und ATSU-Kutaissi hatte einen klar literaturwissenschaftlichen Schwerpunkt ...Im sprachwissenschaftlichen Sektor dominierte die Vermittlung von deutschen Sprachfähig- und –Fertigkeiten...“³

²Deutsche Romantik. Ästhetik und Rezeption. Beiträge eines internationalen Kolloquiums an der Zereteli-Universität Kutaissi. 2006. Hrsg. R. Hillebrand, G. M. Rösch, M. Tscholadse. Iudicium. 2008.

³Hahn, Udo: Antrag zur Förderung der Germanistischen Institutspartnerschaft zwischen dem FSU-Jena und ATSU-Kutaissi in Georgien für das Folgejahr. 2011.

მიუხედავად იმისა, რომ ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლსისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტებს შორის არსებული ურთიერთობა წარმატებული და ნაყოფიერი იყო ზემოთ აღნიშნული მიმართულებებით, აქტუალური გახდა, ქუთაისში, გერმანული ფილოლოგიის სხვა მიმართულებებითაც მნიშვნელოვანი და ინოვაციური აქტივობების განხორციელება. შესაბამისად, ჩვენი და ჩვენი გერმანელი კოლეგების სამწლიანი გარჯის შემდეგ, 2013 წელს საფუძველი ჩაეყარა დეადაეს ფარგლებში იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტსა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის საუნივერსიტეტო ურთიერთობას. თავიდან, აღნიშნული კოოპერაცია უშუალოდ დამყარდა იენის უნივერსიტეტის გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და ჩვენი უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის გერმანული ენის მიმართულებას შორის. პარტნიორობის მიზანს წარმოადგენს:

„Aufgabe des Jenaer Instituts...Defizite vor allem im Bereich der Sprachtheorie (formale Grundlagen der linguistischen Theoriebildung, generative Ansätze), der empirischen Grundlagen moderner Linguistik ...und der angewandten Sprachwissenschaft ...abzubauen.“⁴

ურთიერთთანამშრომლობა ითვალისწინებს იგივე აქტივობებს, რაც განსაზღვრულია საუნივერსიტეტო პარტნიორობით: სტუდენტთა და ლექტორ-მასწავლებელთა გაცვლა, სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებით ურთიერთმხარდაჭერა და ა.შ. მინდა აღვნიშნო ის გარემოებაც, რომ ჩვენს უნივერსიტეტებს შორის არსებულ პარტნიორობასთან ერთად მოქმედებს იენასთან ერაზმუსის პროექტი და ვაიმარში გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების სტიპენდია.

რაც შეეხება იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტთან წარმატებულ პარტნიორულ ურთიერთობას, გერმანულმა მხარემ ჩათვალა, რომ შესაძლებელია ჩვენს უნივერსიტეტში პარტნიორული ურთიერთობების მასშტაბის გაზრდა და ამ პროექტში სხვა სპეციალობების ჩართვაც. ეს ეხება გერმანულ ლიტერატურის,სლავისტიკის, იურიდიულ, სოციალურ და პედაგოგიურ მეცნიერებების, ქართველოლოგიის დოქტორანტებს. მთავარი კრიტერიუმი, გარდა დარგობრივი კვალიფიკაციისა, არის ასევე, გერმანულ ენაში B2 დონე. გასულ სასწავლო წელს, რექტორატისა და უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა აღნიშნულ სპეციალობებში წარმატებულ სტუდენტთა ჯგუფი, რომლებიც მომზადდნენ B2 დონისათვის.

გარდა პარტნიორობის ჩარჩოებით განსაზღვრული სავალდებულო პუნტებისა, იენის მხარეს დაგეგმილი აქვს მთელი რიგი აქტივობებისა, რომელთა ნაწილი უკვე განხორციელდა, კერძოდ:

1.იენასთან პარტნიორული ურთიერთობის ფარგლებში მომზადდა ახალი საუნივერსიტეტო პროგრამა დოქტორანტურაში გერმანული ენათმეცნიერება

⁴Gallmann, Peter: Antrag zur Förderung der Germanistischen Institutspartnerschaft zwischen dem FSU-Jena und ATSU-Kutaissi in Georgien für das Folgejahr 2012.

სადოქტორო პროგრამის შექმნის საფუძველს წარმოადგენს იენის ფრიდრიჰ შილერის უნივერსიტეტსა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არსებული პარტნიორობა (GIP – DAAD) და ვლადიმერ ადმონის ფონდის დოქტორანტთა სკოლის პროექტი, რომელიც შემოთავაზებული იქნა გერმანელი პარტნიორების მიერ. პროგრამა ითვალისწინებს შესაბამის დისციპლინებში გერმანელი პროფესორების მიერ ლექციებისა და ბლოკ-სემინარების ჩატარებას. სადოქტორო პროგრამის სასწავლო - დარგობრივი ნაწილი, ასევე სამეცნიერო კვლევების მიმართულებები შედგენილი და ჩამოყალიბებულია იენის უნივერსიტეტის გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროფესურასთან ერთობლივი მუშაობით.

სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს თანმიმდევრულ, კვლევაზე ორიენტირებულ სწავლებას, რომელიც დოქტორანტს გაუღრმავებს და განუვითარებს დამოუკიდებელი აზროვნების, სამეცნიერო კვლევისა და სწავლების უნარ-ჩვევებს. პროგრამის მიზანია მოამზადოს გერმანულ ენათმეცნიერებაში თანამედროვე სტანდარტების დონის შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევას, და დარგის ცალკეული დისციპლინის სწავლებას უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

სადოქტორო პროგრამა ინოვაციურია იმ მხრივ, რომ იგი ითვალისწინებს ენათმეცნიერული გერმანისტიკის ფუნდამენტური კვლევების და მიმართულებების ახლებურად ხედვას და გააზრებას, საყოველთაოდ აღიარებული იენის ენათმეცნიერული სკოლის მოდელების და კონცეპციების გაცნობას და დაუფლებას, საქართველოში ახალი, თანამედროვე ენათმეცნიერული ცოდნით აღჭურვილი გერმანისტების აღზრდას და საერთო საენათმეცნიერო სივრცეში მათ წარმატებულ ინტეგრირებას.

2.2016 წლის 13 – 15 ოქტომბერს, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია **Sprachliche Strukturen im deutsch-georgischen Kontrast ქართული და გერმანული ენობრივი სტრუქტურები შეპირისპირებით პლანში**. კონფერენცია მომზადდა და ჩატარდა ჩვენსა და იენას შორის არსებულ საუნივერსიტეტო პარტნიორობის ფარგლებში. კერძოდ, აწსუ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტსა და იენის უნივერსიტეტის გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტს შორის არსებულ ურთიერთ თანამშრომლობის საფუძველზე. კონფერენციის მხარდამჭერი იყო სხვადასხვა გერმანული ფონდი და ორგანიზაცია, მაგრამ მთავარი დონორი იყო, ისევე როგორც ჩვენი საუნივერსიტეტო პარტნიორობისა, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური DAAD.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც იენის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და დოქტორანტები, ასევე გერმანიის და შვეიცარიის სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები. ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ ჩვენი უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ენათმეცნიერული

მიმართულების წევრები და, ასევე, თელავის იაკობ გოგებაშვილის, თბილისის ილიას და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორები.

კონფერენცია ჩატარდა უაღრესად საინტერესო და საქმიან ვითარებაში, მუშაობდა რამდენიმე სექცია, წარმოდგენილი იქნა გერმანული და ქართული ენობრივი სტრუქტურების შეპირისპირებითი კვლევების შედეგები ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ტექსტის, სიტყვაწარმოების, ასევე პრაგმატიკის, ლინგვოკულტუროლოგიის და გერმანულის როგორც უცხო ენის სწავლების მიმართულებით.

მოხდა როგორც ცალკეული, დამოუკიდებელი, ასევე ერთობლივი კვლევების შედეგების პრეზენტაციები. კერძოდ, ჩვენი საუნივერსიტეტო პარტნიორობა ითვალისწინებს როგორც სტუდენტთა და ლექტორ-მასწავლებელთა გაცვლას, კურიკულუმზე მუშაობას, გერმანელი პროფესორის ბლოკ-სემინარებს, ტუტორთა ვორკშოპებს და ა.შ. ასევე, საერთო სასწავლო და კვლევით აქტივობებს. ამ მიმართულებით დაიგეგმა, მიმდინარეობს მუშაობა და მალე დასრულდება იენის პროფესორ ადრიან სიმპსონისა და ასოც.პროფ.რამაზ სვანიძის ერთობლივი კვლევა **გერმანულისა და ქართულის კონტრასტული ფონეტიკურ-ფონოლოგიური ანალიზი**, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით პარალელურად მიმდინარეობს ქართველ გერმანული ენის შემსწავლელთათვის ფონეტიკის სახელმძღვანელოზე მუშაობა.

ასევე, კონფერენციაზე მოხდა ერთობლივი კვლევის პრეზენტაცია **გერმანული და ქართული საკუთარი სახელები და მათი კონტრასტული ანალიზი**. კვლევის მონაწილეები იყვნენ ბარბარა ენლიხი, დიანა შლუხტმანი, მანანა ბაქრაძე და მირანდა გობიანი.

ჩემს მიერ წარმოდგენილი იყო მოხსენება **გერმანულ-ქართულ ფორმაუცვლელ სიტყვათა ლექსიკონის მნიშვნელობასა და აქტუალობის შესახებ** და შემდეგი მოსაზრებები:

ფორმაუცვლელი სიტყვების კვლევა წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ საინტერესო საკითხს. მიუხედავად მათი არასრულმნიშვნელობისა და ენობრივ კომუნიკაციაში ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო ფუნქციებისა, ისინი სრულყოფილს ხდიან ტექსტის სინტაქსურ და სემანტიკურ სტრუქტურას. განსაკუთრებულ სირთულეს უქმნიან აღნიშნული მეტყველების ნაწილები (ზმნიზედა, კავშირი, წინდებული/თანდებული, ნაწილაკი და ა.შ.) უცხოელ, ჩვენს შემთხვევაში ქართველ გერმანული ენის შემსწავლელს მათი პოლისემურობიდან გამომდინარე. ასევე, ერთიდაიგივე ფორმაუცვლელი სიტყვა შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა კლასში. ქართველი შემსწავლელისათვის კი მათი არასწორი გამოყენება, გერმანულ ენაზე მეტყველებას გაუმართავს და ხშირად გრამატიკულად არაკორექტულს ქმნის. ჩვენს ხელთ არსებული გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ლექსიკონები (თუნდაც უახლესი ონლაინ ლექსიკონები) ვერ წყვეტენ ამ პრობლემას ფორმაუცვლელ სიტყვათა რთული სტატუსიდან გამომდინარე. ჩემს მიერ შესწავლილი იქნა როგორც ბეჭდური, ასევე ონლაინ ლექსიკონები და ილუსტრირებული იქნა აღნიშნული შეცდომები და ხარვეზები.

გარდა ამისა, გერმანულ სივრცეში უკვე არსებობს შესაბამისი ტრადიცია, კერძოდ, უკვე შექმნილი და ხელმისაწვდომია გერმანულ-ინგლისური, გერმანულ-ფრანგული, გერმანულ-რუსული ფორმაუცვლელ სიტყვათა ლექსიკონები.

ამ მოსაზრებამ გამოიწვია დიდი ინტერესი და მოწონება ჩვენი იენელი პარტნიორების მხრიდან. პროფესორ პეტერ გალმანმა გამოხატა დაინტერესება და მზადყოფნა იმისათვის, რომ კონსულტაცია გაუწიოს აღნიშნულ პროექტს. შესაბამისად, დავგეგმეთ, რომ ჩვენი საუნივერსიტეტო პარტნიორობის კვლევითი მიმართულების ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება მუშაობა **გერმანულ-ქართულ ფორმაუცვლელ სიტყვათა ლექსიკონზე**, რომელშიც ჩაერთვება ჩვენი დეპარტამენტის გერმანული ენათმეცნიერების მიმართულების ყველა წევრი, ხოლო ლექსიკონის გამოცემასა და ტექნიკურ საკითხების მოგვარებაში მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის უნივერსიტეტიც.

კონფერენცია მიმდინარეობდა მეგობრულ, თბილ, კოლეგიალურ გარემოში, რაშიც თავისი წვლილი შეიტანა კარგად ორგანიზებულმა კულტურულმა ღონისძიებებმა. წარმოდგენილი მოხსენებები იყო მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებული, ტექნიკურად სრულყოფილი და ინოვაციური. ჩვენი კოლეგების მიერ კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები შეფასდა როგორც საინტერესო, აქტუალური და თანამედროვე ევროპული საგანმანათლებლო სივრცისათვის შესაბამისი.

კონფერენციის ბოლო დღეს გაიმართა სხდომა, რომელიც მიემდგვნა ჩვენი საუნივერსიტეტო პარტნიორობის მიმდინარეობის განხილვას და შეფასებას, შესაბამისი პაუერ-პოინტის ჩვენებით. პარალელურად, დაიგეგმა სასწავლო და კვლევითი მიმართულებით საუნივერსიტეტო პარტნიორობის სამომავლო პერსპექტივები და პრიორიტეტები.

რაც შეეხება საუნივერსიტეტო პარტნიორობის სამომავლო გეგმებს, მიმდინარე წლის იანვარში მივიღეთ სასიხარულო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დეეადეს ცენტრალურმა სტრუქტურამ ბონში კიდევ სამი წლით გააგრძელა და დააფინანსა ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა, რაც კიდევ უფრო საინტერესოს და საპასუხისმგებლოს ქმნის ჩვენს საქმიანობას. რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, აღნიშნული პარტნიორობა მიმზიდველს და აქტუალურს ხდის გერმანული ენისა და ლიტერატურის შესწავლას არამარტო საუნივერსიტეტო, არამედ, სასკოლო დონეზეც. ასევე, 2018 წლისათვის დაგეგმილია, პარტნიორობის ფარგლებში ქუთაისში საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება, ხოლო მიმდინარე წელს, **გერმანულ-ქართულ ფორმაუცვლელ სიტყვათა ლექსიკონზე** მუშაობა და გამოცემა, ისევე როგორც სხვა მიმდინარე პროექტების სრულყოფა და დასრულება.